გიორგი მელიქიძე *

ლიდერი პარტიის პირისპირ: საქართველოს გამოცდილება

აბსტრაქტი

წარმოდგენილ სტატიაში საუბარია პოსტსაბჭოთა საქართველოში პარტიული სისტემის ტრანსფორმაციის შესახებ. საქართველოში პოლიტიკური პარტიები სუსტად ინსტიტუციონალიზებული და პერსონიფიცირებულია, ხოლო ხალხის ნდობა მათ მიმართ დაბალია. პარტიების პერსონალიზაცია უმეტესწილად მათი ლიდერების ფაქტორით არის განპირობებული. პირველი ასეთი გაერთიანება იყო ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო," რომელიც ზვიად გამსახურდიას გარშემო შეიქმნა. ლიდერის პარტია იყო ედუარდ შევარდნაძის მიერ შექმნილი ,,მოქალაქეთა კავშირი." აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ შექმნა ,,საქართველოს აღორძინების კავშირი." იგივე შეიძლება ითქვას მიხეილ სააკაშვილის ,,ნაციონალურ მოძრაობაზე" და ბიძინა ივანიშვილის ,,ქართულ ოცნებაზე." კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში პარტიული სისტემა განიცდის კრიზისს ინსტიტუციონალიზაციის კუთხით. ერთის მხრივ, სუსტი პროგრამულ / იდეოლოგიური კავშირი ელექტორატსა და პარტიებს შორის და საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულაცია / აგრეგაცია რჩება გადაუჭრელ პრობლემად. პარტიები ხასიათდებიან არასტაბილურობით და მოკლევადიანი მიზნებით. მეორეს მხრივ კი პოლიტიკის პერსონალიზაცია და ლიდერზე განსაკუთრებული დამოკიდებულება ამწვავებს ინსტიტუციონალიზაციის კრიზისს. პარტიებს შორის იდეოლოგიური წყალგამყოფების არარსებობა იწვევს

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის დოქტორი

ელექტორატის არასტაბილურობას. ამომრჩეველი ხშირად ვერ ხედავს პარტიებს შორის ფუნდამენტურ განსხვავებებს.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური პარტია, ლიდერი, პარტიული სისტემა, ინსტიტუციონალიზაცია, საქართველო.

შესავალი

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 30 წელზე მეტი ხნის გზა განვლო, თუმცა პარტიულმა სისტემამ ვერ შეასრულა მედიატორის როლი საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. ქვეყნის პარტიულ პოლიტიკაზე ღრმა კვალი დატოვა იმ არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ, რაც დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან თან სდევდა ქვეყანას. საქართველოში პარტიული სისტემა მოკლებულია რეპრეზენტატულობას, კონკურენტუნარიანობას და იდეოლოგიის თვალსაზრისით დაბალი პოლარიზაციით ხასიათდება. რეიტინგული პარტიების ამოცანას წარმოადგენს მათი ლიდერების მხარდაჭერა. დანაწევრებული მრავალპარტიული სისტემა ხელს უწყობს ამომრჩეველსა და პარტიებს შორის კავშირის შესუსტებას.

საქართველოში პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბება პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის ინტერესებს ემსახურება. პროცედურული საკითხების ირგვლივ მკვეთრად დაპირისპირებული პარტიები, სუსტი პოლიტიკური აქტორები, დომინანტი მმართველი პარტია და მერყევი ელექტორატი ქმნის პარტიული ინსტიტუციონალიზაციის ზოგად სურათს. პარტიული დისციპლინის ნაკლებობა და პარტიების ხშირი ცვლა პარტიების არამდგარდობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

საქართველოში პოლიტიკური პარტიები ასოცირდება უფრო მეტად ლიდერთან, ვიდრე წინასაარჩევნო პროგრამასა და იდეოლოგიასთან. პარტიულ პოლიტიკაში აღსანიშნავია ლიდერის, როგორც „ლოკომოტივის" ფენომენის დომინანტური როლი.

პარტიული პოლიტიკა განსაკუთრებული პერსონიფიკაციით, მოწინააღმდეგის მიმართ პერსონალური შეტევით, რადიკალური განცხადებებითა და პარტიულ პლატფორმაზე ნაკლები ფოკუსირებით გამოირჩევა. საქართველოში სახელისუფლებო პარტია ყოველთვის იყო ლიდერის პარტია.

საქართველოში პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციის გამოცდილება და ალტერნატიული, ეფექტიანი პოლიტიკური ძალების სისუსტე პარტიულ ინსტიტუციონალიზაციას აფერხებს. აღნიშნულ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს ელექტორატის დაბალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და პერსონალურ-კლიენტელისტური კავშირი პარტიებსა და ელექტორატს შორის.

საქართველოში პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის ანალიზის საწყის ეტაპზე შევისწავლეთ და გავაანალიზეთ ამ კუთხით არსებული აკადემიური ლიტერატურა. მკვლევრების ნაწილი (Huntington, 1968; Janda, 1980; Kuenzi & Lambright, 2001) პარტიულ ინსტიტუციონალიზაციას მეტად ფართო ჭრილში განიხილავს, რაც კონკრეტული დასკვნების გაკეთებას და მით უფრო ჩვენი ნაშრომისთვის, თეორიული საფუძვლის მომზადებას ართულებს. გარკვეული ნაწილი (Janda, 1980) კონკრეტული, ემპირიული მონაცემების ზედმიწევნით ანალიზს წარმოადგენს, რაც ასევე ნაკლებად გამოსადეგია ჩვენი კვლევისთვის. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო რანდოლის და შვასანდის (Randall and Svasand, 2002) კვლევა, რომელიც პარტიული სისტემის, როგორც კონტექსტუალურ, აგრეთვე ავტონომიურ ანალიზს გვთავაზობს.

პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პლატფორმა

საქართველოში ათწლეულების განმავლობაში ვერ ჩამოყალიბდა პარტიულ პროგრამაზე დაფუძნებული კონკურენცია. პარტიული სისტემის ერთ-ერთ მახასიათებელად კვლავ საზოგა-

დოებასთან სუსტი კავშირი განიხილება. პარტიული სისტემა გამოირჩევა მმართველი პარტიის დომინირებით, რომელსაც არ აქვს უნარი წარმოადგინოს საზოგადოებრივი ინტერესები. საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულაცია-აგრეგაციის თვალსაზრისით უუნარო აღმოჩნდნენ ოპოზიციური პარტიებიც.

საქართველოში ტრადიციად იქცა, რომ მმართველ ჯგუფს საშუალება ეძლევა მთლიანად აიღოს ხელში ძალაუფლება, ხოლო კონკურენტული გარემო კი ხშირად მხოლოდ იმიტირებულია დემოკრატიული ფონის შესაქმნელად. „მოქალაქეთა კავშირი" და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წარმოადგენდა „სახელისუფლებო პარტიას," რომლის მიზანიც იყო ქვეყნის პარტიულ პოლიტიკაში დომინირება" (Burnell, Gerrits, p. 26). ამ კუთხით არც „ქართული ოცნებაა" გამონაკლისი, თუმცა მას აქტიურ კონკურენციას უწევს „ნაციონალური მოძრაობა," რაც ხშირად რადიკალური პოლარიზაციის სახეს იღებს.

გარდამავალი დემოკრატიის პირობებში, ახლადშექმნილი პარტიები მოკლებული არიან საზოგადოებრივ ფესვებს, პარტიულ მხარდაჭერას და დგანან დაშლის საფრთხის წინაშე. აღნიშნული მიზეზები ამომრჩეველს და პარტიებს შორის წარმომადგენლობით კავშირს ამცირებს. საქართველოში სტაბილურობის ზედაპირული შთაბეჭდილების მიუხედავად, პარტიული სისტემა მოკლებულია რეპრეზენტატულობას და კონკურენტუნარიანობას. პარტიების მიერ საზოგადოებრივ ინტერესებზე დამყარებული პროგრამის წარმოჩენა ნაკლებად პრიორიტეტულია ან, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ფასადური ხასიათი აქვს. იდეოლოგიური სისუსტე, თავის მხრივ, განაპირობებს პარტიული სისტემის სუსტ ინსტიტუციონალიზაციას და უბიძგებს პარტიებს დაშლისა და გაქრობისკენ.

საქართველოს პარტიული სისტემა იდეოლოგიის თვალსაზრისით დაბალი პოლარიზაციით ხასიათდება (Nodia,

Scoltbach, 2006, p. 85). აღსანიშნავია, რომ ამომრჩეველს უჭირს პარტიებს შორის არსებული იდეოლოგიური განსხვავებების აღქმა. პარტიების უმრავლესობა ერიდება დაიკავოს მკვეთრად გამოხატული მემარცხენე ან მემარჯვენე პოზიცია, რაც განპირობებულია საზოგადოებასთან სუსტი კავშირით და იდეოლოგიური სიმყიფით. იქმნება ეგრედ წოდებული „ყოვლისმომცველი" პარტიული სისტემა, რაც კიდევ უფრო ასუსტებს პარტიულ პოლიტიკას.

საქართველოში პარტიებს შორის კონკურენცია მიმდინარეობს არა იდეოლოგიური შეჯიბრის ჭრილში, არამედ ემსგავსება პერსონალურ კონფრონტაციას. პარტიებისა და ამომრჩევლის განხილვის თემა უმეტესწილად საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული საკითხებია და არა იდეოლოგიური სხვადასხვაობა. ამომრჩეველსა და პარტიებს შორის სუსტ პროგრამულ-იდეოლოგიურ კავშირს, პარტიების განსაკუთრებით დიდი რაოდენობაც განაპირობებს. არაერთი პატარა პარტიის არსებობის გამო იფანტება იდენტური ინტერესების მქონე სოციალური ჯგუფების ხმები და ვერ ხდება შესაბამისი სოციალური ფენის ინტერესების წარმოდგენა.

პარტიული სისტემის ფრაგმენტაციის გამოთვლა ხდება ლააკსოსა და ტაგეპერას ეფექტური პარტიების რაოდენობის (ENP)[1] მიხედვით (Laakso, Taagepera, 1979, pp. 3-27). ეფექტური

[1] **ENP=1/Σ(Si)²**
Si – არის თითოეული პარტიის მიერ პარლამენტში მოპოვებული ადგილების (პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა) პროპორცია, Si² - თითოეული პარტიის მიერ პარლამენტში მოპოვებული ადგილების (პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა) პროპორციის კვადრატი, ხოლო Σ –არის თითოეული პარტიის მიერ პარლამენტში მოპოვებული ადგილების (პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა) პროპორციის კვადრატის ჯამი.

პარტიების მაღალი მაჩვენებელი ნიშნავს, რომ პოლიტიკური სისტემა დიფუზიურია და ხელისუფლება გადანაწილებულია მრავალი პარტიის მიერ, ხოლო პატარა მაჩვენებელი კი მიუთითებს, რომ ხელისუფლება სულ რამდენიმე პარტიის ხელშია კონცენტრირებული. ეფექტური პარტიების რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი იმ ათი ქვეყნისთვის, რომლებიც საარჩევნო აქროლადობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან არის 6,30, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ათ ქვეყანაში კი – 3,14 (Jones, 2012, p. 37). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო პარტიული ფრაგმენტაციის ტენდენციით ხასიათდება, რაც არასიცოცხლისუნარიანი პარტიების სიმრავლით, არასტაბილური საპარლამენტო კოალიციებით, დომინანტური მმართველი პარტიითა და ფრაგმენტული, გათიშული ოპოზიციით ხასიათდება.



წყარო: შედეგები გამოთლილია მკვლევრის მიერ შესაბამისი ფორმულის გამოყენებით

საქართველოში ეფექტური პარტიების რაოდენობა არ არის მაღალი, თუმცა არამდგრადობა (ფრაგმენტაცია) კვლავ მაღალია, რაც ამგვარად აიხსნება: ქვეყანაში პარტიების რაოდენობა 250 აღწევს, თუმცა მათი უმრავლესობა არ ღებულობს აქტიურ პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობას, რაც ფრაგმენტაციის დონის

განსაზღვრისას მაღალ ცდომილებას იწვევს. გასათვალისწინებელია, რომ ფრაგმენტაციის მაჩვენებელი ნაკლებად მნიშვნელოვან, თუნდაც რეგისტრირებულ და წევრთა გარკვეული რაოდენობის მქონე პარტიებს არ მოიცავს. არაერთი პატარა პარტიის არსებობის გამო იფანტება იდენტური ინტერესების მქონე სოციალური ჯგუფების ხმები და სუსტდება პარტიები, რაც იწვევს პარტიული სისტემის ფრაგმენტაციას.

პედერსენის ინდექსის (Pedersen's, 1983) მიხედვით, რომელიც ასახავს ელექტორატის დამოკიდებულების ცვალებადობას, საქართველოში ცვალებადობის პროცენტული მაჩვენებელი 1992-1995 წლებში 75%-ს აღწევდა, ხოლო 1995-1999 წლებში კი – 46%-მდე დაეცა (Wheatley, 2005, p. 158). აღნიშნული მაჩვენებელი, აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, საკმაოდ მაღალია და საქართველოს პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის კუთხით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს.



წყარო: შედეგები გამოთლილია მკვლევრის მიერ

პარტიებს შორის არსებული სუსტი იდეოლოგიურ-პროგრამული კონკურენცია პარტიული სისტემის კიდევ ერთი გამოკვეთილი ნიშანია. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ოცდაოთხი გამარჯვებული პარტია გამოვლინდა, თუმცა საარ-

ჩევნო ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა და მომდევნო არჩევნებზე მათი უმრავლესობა არჩევნებშიც კი აღარ მონაწილეობდა. შევარდნაძის მმართველობის საწყის პერიოდში ოპოზიცია იყო სუსტი, ფრაგმენტული და უუნარო. მიუხედავად იმისა, რომ „მოქალაქეთა კავშირს" ოპონირებას არაერთი პარტია უწევდა, „ნაციონალური მოძრაობა" იყო ის ძალა, რომელმაც ამომრჩევლის მობილიზება შესძლო. აქ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია გასათავლისწინებელი. ერთი ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა" „მოქალაქეთა კავშირის" წიაღში შეიქმნა და მეორე, მათი ნაბიჯები მეტად თავდასხმითი და გამბედავი იყო, რაც განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენდა ქართველი ამომრჩევლისთვის. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ სუსტი და დანაწევრებული ოპოზიცია აკრიტიკებდა ხელისუფლებას, თუმცა ამომრჩევლის წინაშე კონსოლოდაციას ვერ ახერხებდა. იმ დროისათვის აქტიურად განიხილებოდა ფსევდო-ოპოზიციისა და სატელიტი პარტიების არსებობის საკითხი, რაც ბუნებრივად ასუსტებდა პარტიულ პოლიტიკას. საქართველოში პარტიულ ინსტიტუციონალიზაციას განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საარჩევნო პერიოდში არჩევნებში გამარჯვების მიზნით შექმნილი ეფემერული პოლიტიკური ბლოკები და მმართველი პოლიტიკური პარტიის დომინანტი როლი.

საქართველოში აღინიშნება პარტიული სისტემის იდეოლოგიური სისუსტე ქარიზმატული და გავლენიანი ლიდერების ფონზე. პარტიის ლიდერები საარჩევნო კამპანიის მთავარი შემოქმედნი არიან, პარტია კი პოლიტიკური ლიდერის ინსტრუმენტს წარმოადგენს და ნაკლებად არის ორიენტირებული მხარდამჭერთა ინტერესების გამოხატვაზე. ამ კუთხით გარკვეული ცვლილება აღინიშნა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას, როდესაც „ქართული ოცნების" ლიდერის ფაქტორი ერთ-ერთი გადამწყვეტი იყო, თუმცა ამ შემთხვევაში ელექტორატის მოლო-

დინი უფრო ლიდერის ხელთ არსებულ რესურსებს ეფუძნებოდა, ვიდრე მის ქარიზმატულობას.

2012 წელი არაერთი ნიშნით იყო საინტერესო პარტიულ პოლიტიკაში. პირველად დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხელისუფლების გადაბარება მოხდა არჩევნების გზით, ყოფილი მმართველი პარტია არ გამქრალა და გადავიდა ოპოზიციაში. გამოიკვეთა რომ მმართველი პარტია, მიუხედავად იმისა რა გავლენისაც არ უნდა იყოს, უნდა ემყარებოდეს იდეოლოგიურ პლატფორმას და არ იყოს ლიდერებზე ორიენტირებული, რადგან ეს მას გარდაუვალი მარცხისთვის ამზადებს, ხოლო სამომავლოდ კი ოპოზიციაში გადასვლისას მნიშვნელოვან სისუსტეს უქადის. „ნაციონალური მოძრაობა" 2012 წლისთვის იდეოლოგიური და სტრუქტურული კუთხით მეტად განვითარებული რომ ყოფილიყო, იგი ადვილად შეძლებდა მომდევნო წლებში პოლიტიკურ რებრენდინგს. ამავე არჩევნებზე დადასტურდა კიდევ ერთი ჰიპოთეზა, რომ საქართველოში ელექტორალური ქცევა ხშირად განპირობებულია არა პოლიტიკური ძალის მიმართ სიმპატიით, არამედ მისი კონკურენტის მიმართ ანიტიპატიით. თავის დროზე ამ ფაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშა „მოქალაქეთა კავშირის" წინააღმდეგ და იგივე ვითარება შეიქმნა 2012 წელსაც. ამგვარი ელექტორალური ქცევა მიუთითებს იდეოლოგიური საფუძვლების სიმყიფეზე, რადგან ამომრჩეველი, რომელსაც აქვს მკვეთრი იდეოლოგიური შეხედულება და კავშირი პოლიტიკურ პარტიასთან, ნაკლებად ავლენს ამგვარ დამოკიდებულებას.

ლიდერის ფაქტორი პარტიულ პოლიტიკაში

საქართველოში პოლიტიკური პარტიები იქმნება პოლიტიკური ლიდერის გარშემო და ხშირად ასრულებს პოლიტიკური „ლიფტის" ფუნქციას. აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ პარტია გამოიყენება პერსონალური პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. დასავ-

ლური პარტიებისგან განსხვავებით, სადაც პოლიტიკური პარტია შიდაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე აყალიბებს და წარადგენს ლიდერს, საქართველოში ლიდერი განსაზღვრავს პარტიის ბედს. პარტიული აქტივისტები აღიარებენ, რომ პარტიისთვის უმნიშვნელოვანესი რესურსია ლიდერის პერსონალური მახასიათებლები. ეს ადასტურებს ლიდერის მნიშვნელობას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. მიიჩნევენ, რომ ლიდერს უნდა ახასიათებდეს: ცნობადობა, ფინანსური რესურსები, კავშირები გავლენიან ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან (Nodia, Scoltbach, 2006, p. 193).

პოსტსაბჭოთა საქართველოში არსებული ოთხივე სახელისუფლებო პარტია ლიდერის პარტია იყო. 1990-1991 წლებში მმართველი კოალიცია ,,მრგვალი მაგიდა“ ძირითადად დაკავშირებული იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში შექმნილი ,,მოქალაქეთა კავშირი“ მთლიანად ლიდერების ძალაუფლებას ეყრდნობოდა. ედუარდ შევარდნაძე და პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია მმართველი პარტიის საყრდენს ქმნიდნენ. გავლენიანი რეგიონლი ბლოკი ,,აღორძინება'' აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის დასაყრდენ ძალას წარმოადგენა. ,,ვარდების რევოლუციის'' შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ ,,ნაციონალურ მოძრაობაში'' მრავლად იყვნენ წარმოდგენილი გამოცდილი პოლიტიკოსები, თუმცა აღნიშნული პარტია ძირითადად მაინც ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის პარტიად მოიაზრებოდა. ლიდერის პარტიას წარმოადგენდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ,,ქართული ოცნება,'' მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა მის როლს მმართველ პარტიაში დღემდე განიხილავენ.



წყარო: CRRC https://caucasusbarometer.org/ge/nn2019ge/codebook/

საქართველოში პარტიული სისტემა არაერთხელ გახდა კრიტიკის ობიექტი ლიდერთა პიროვნულ მახასიათებლებზე განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო (Tarkhan Mouravi, 2006, p. 243). ელიტარული და ლიდერზე ორიენტირებული ქართული პარტიები აღნიშნული მახასიათებლებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან დასავლეთის პარტიებისგან (Wheatley, 2005, p. 218). პრობლემას ვაწყდებით არამარტო პარტიულ პოლიტიკაში ლიდერებზე განსაკუთრებული დამოკიდებულებით, არამედ ელექტორატიც გადაწყვეტილებას ღებულობს პიროვნული ნდობიდან გამომდინარე. უკვე ათწლეულებია, რაც ამომრჩეველს ნაკლებად აინტერესებს პარტიის იდეოლოგია, თუმცა განსაკუთრებით დაინტერესებულია მისი ლიდერით და ზოგჯერ პერსონალური მახასიათებლებითაც.



წყარო: International Republican Institute, A) *Georgian National Study, October 20 to November, 3, 2004, p.20;* B) *Georgian National Study,October 18 – 30, 2005, p. 37; C) Georgian National Study, April 8 – April 19, 2006, p. 37;* D) *Georgian National Study,August 31 – September 10, 2007, p. 28*; E) *Georgian National Study, June 16 – 25, 2009, p. 18;* F) *Georgian National Study, April 26 – May 4 2011, p. 22*).

პოლიტიკური პარტიები ასოცირდება უფრო მეტად ლიდერთან, ვიდრე წინასაარჩევნო პროგრამასა და იდეოლოგიასთან. პოლიტიკოსები, რომლებსაც გარკვეული პოლიტიკური გამოცდილება აქვთ, ქმნიან საკუთარ პარტიებს და მათ იყენებენ პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად. უახლოესი წარსულიდან შეგვიძლია დავასახელოთ სამი სხვადასხვა ფაქტი, რაც პარტიული პოლიტიკის განსაკუთრებულ პერსონიფიცირებაზე მიუთითებს. საქართველოს მეექვსე მოწვევის პარლამენტში (2004 – 2008 წწ) წარმოდგენილი იყო საარჩევნო ბლოკი სახელად „ბურჯანაძე-დემოკრატები.” აღნიშნული შემთხვევა ცხადყოფს, რომ სწორედ პერსონასთან უფრო ხდება პარტიული პოლიტიკის გაიგივება, ვიდრე იდეოლოგიასა და პლატფორმასთან. 2018 წლის ნოემბერში, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ამომრჩეველს მიმართა და მხარდაჭერისკენ

მოუწოდა ,,ქართული ოცნების“ ლიდერმა, ბიძინა ივანიშვილმა. გარდა ამისა, ქალაქში განთავსებულ ბილბორდებსა და სარეკლამო რგოლებში სწორედ ის მოუწოდებდა ამომრჩეველს სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერისკენ. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებდა იმაზე, რომ საქართველოში პოლიტიკურ მხარდაჭერას განაპირობებს კონკრეტული პიროვნება და არა პოლიტიკური კანდიდატი, იდეოლოგია ან პლატფორმა. 2021 წლის ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებში, ყოფილი პრემიერის მიერ სულ რაღაც ოთხი თვის შექმნილმა პარტიამ (,,საქართვლოსთვის“) საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში მესამე ადგილი დაიკავა (,,ქართული ოცნებისა“ და ,,ნაციონალური მოძრაობის“ შემდეგ), რაც მისი ლიდერის ფაქტორით უნდა ავხსნათ.

სუსტი პარტიული სისტემის პირობებში, ამომრჩეველი არჩევანს აკეთებს ლიდერზე ფოკუსირებით, პარტიები საკომუნიკაციო სტრატეგიას აგებენ ლიდერზე დაყრდნობით, პარტიული პოლიტიკა წარმოდგენილია ინდივიდუალური დაპირისპირების დონეზე და არა პარტიული შეჯიბრის ჭრილში. საქართველოში პარტიის წარმომადგენლები (და მით უფრო ლიდრები) იქცევიან, როგორც ინდივიდუალური აქტორები და არა როგორც კონკრეტული პარტიის წევრები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Burnell, P. and Gerrits, A. W. M. (2011). *Promoting Party Politics In Emerging Democracies.* Routledge

2. Janda, k. (1980). *Political Parties: A Cross-National Survey*. New York: Free Press.

3. Jones, B. R., (2012). *Electoral Volatility in Old and New Democracies: Comparing Causes of Party System Institutionalisation.* Central European University Departament of Political Science.

4. Huntington, S. (1968). *Political Order in Changing Societies.* New Haven: Yale University Press

5. Kuenzi, M. & Lambright, G. (2001). Party System Institutionalization in 30 African Countries. *Party Politics*, 7(4), pp. 437-468.

6. Laakso, M. and Taagepera, R. (1979). Effective Number of Parties: A Measure with Application to West Europe. *Comparative Political Studies* 12 (1), pp. 3-27

7. Nodia, G., Scoltbach, A. P. Coordinators – Editors; (2006). *The Political Landscape of Georgia; Political Parties: Achievements, Challenges and Prospects.* Eburon Uitgeverij B.V.

8. Pedersen, M. (1979). The Dynamics of European Party Systems: Changing Patterns of Electoral Volatility, *European Journal of Political Research* 7(1), pp. 1-26

9. Randall, V. & Svasand, L. (2002). Party Institutionalization in New Democracies. *Party Politics*, No, 1, Vol. 8, pp. 5-29.

10. Tarkhan – Mouravi, G. (2006). Politicheskie Partii v Gruzii. Zatiunuvsheesia Stanovlenie. *Political Science Quarterly* 1

11. Wheatley, J. (2005), *Georgia from national awakening to Rose Revolution: delayed transition in former Soviet Union.* Ashgate, Aldershot.

Giorgi Melikidze

Leader Versus Party: Georgian Experience

Abstract

This paper focuses on the transformation of party system institutionalization in post-Soviet Georgia. Political parties are weakly institutionalized and personalized and the level of popular trust towards political parties is low in Georgia. The personalization of political parties, always inspired by their leardrs' personalities. The first of such parties, the round table – free Georgia was built around the personality of Zviad gamsakhurdia. The leader's party was Citizen's Union of Georgia, built around Eduard Shevardnadze. Also, the adjarian regional leader Aslan Abashidze built Georgian Revival Union. The same is true of United National Movement built around Mikheil Saakashvili and Georgian Dream founded by Bidzina Ivanishvili. As a result of analysis had been revealed that Georgian party system suffers crisis in the term of institutionalization. On the one hand the weakness of program / ideological connection between parties and electorate and articulation-aggregation of public interests remains as an unsolved problem in party system. The political parties do not have a sense of stability and are focused on short-term success. On the other hand the personalization of politics and special dependence on the leader even more escalates crisis in the party system institutionalization. The absence of ideological watershed between the political parties contributes to the instability of electorate. The voter often can't see fundamental difference between the parties.

Key Words: Political Party; Leader; Party System; Institutionalization: Georgia